№ 262 მთავრობის ორგანო ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მეორე

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 1 მან. ოთხშაბათი 19 ნოემბერი 1919 წ.

მთავრობის ორგანო, ყოველდღიური გაზეთი (ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
„საქართველოს რესპუბლიკა“
მიიღება ხელის მოწერა 1919 წლისათვის. ხელის მოწერის ფასი, ერთი წლით 220 მ., ნახევარი წლ. 110 მ., 1 თვით 20 მ., ცალი: № ყველგან 1 მან. სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით კერძო განცხადებანი პეტიტით 1 გვერდზე 3 მ., მეოთხეზე 2—50. გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 9 ს. ნაშუადღ. 2 ს. ბარონის ქ. № 6, ტელეფონი 1—87.

## სახელმწიფო თეატრი

ოპერა ხ. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. სეზონი—1920 წ.
ოთხშაბათს, ნოემბრის 19-ს, შულგინას, ვ. შემირსკაიას, ხორინას, სარაჯიშვილისა და ინაშვილის მონაწილეობით

## აბესალომ და ეთერი

ხუთშაბათს, ნოემბრის 20-ს „პიკის ქალი“. პარასკევს, ნოემბრის 21-ს მეოთხე გასტროლი პეტროგრადის მუსიკალური დრამის მსახიობის დავიდოვასი. „სევილიელი დალაქი“. შაბათს, ნოემბრის 22-ს, ოპერა ღუშებისთვის „აიდა“. კვირას, ნოემბრის 23-ს, დილით „დემონი“, საღამოს „ტოსკა“. 137

საქართველოს ცენტრალური კოოპერატივთა კავშირის დრამატიული სტუდია.

## არტისტიული საზოგ. თეატრი

ოთხშაბათს, გიორგობისთვის 19—1919 წ. საღამოს 8 საათზე

ედ. როსტანი **თეთრი ყაჩაღი**
ერთ მოქმედებად

ბრიო **სარწმუნოება.** პიესა 2 მოქმედებად.

პიესისათვის დამზადებულია ახალი დეკორაციები და კოსტიუმები.

რეჟისორი გ. ჯაბადარი. რეჟისორის თანაშემწე გ. ერისთავი.
გრიმის ხელმძღვანელი შ. ბერიშვილი. მეორე ზარის შემდეგ დარბაზში არავინ შეიშვება.

## უოველივე უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ლატარიის გამგეობა

ამით აცხადებს იმ აგენტების და კომიტეტების საყურადღებოთ, რომელთაც ჯერ კიდევ ან გარიში არ წარმოუდგენიათ, დაუყოვნებლივ გაასწორონ ანგარიში, რათა ლიკვიდაციის საქმე არ შეფერხდეს. 133 1—1

მამულის ცეცხლიდან საურთიერთო დაზღვევის ტფილისის საზოგადოების გამგეობა აცნობებს ბ. ბ. წევრებს, რომ კვირას, ნოემბრის 23, დილის 11 ს. საზოგადოების ბინაზე (ლერმონტოვის ქ. № 10) შესდგება

## საგანგებო საზოგადო კრება

იმის მაგიერ, რომელიც უნდა შემდგარიყო ნოემბრის 9 ს. კრებაზე უნდა განხილულ იქნეს ყველა ის საკითხი, რომელიც დანიშნული იყო განსახილველათ 9 ნოემბერს. ამასთანავე გამგეობას აქვს პატივი აცნობოს ბ. წევრებს, რომ წესდების მე 26 § მიხედვით, აღნიშნული კრება კანონიერათ ჩაითვლება, მიუხედავად დამსწრე წევრთა რაოდენობისა.

## სენატის საკოდიფიკაციო განყოფილების გაცხადება

თანახმად დამფუძნებელი კრების მიერ 1919 წ. ივლისის 29-ს მიღებული კანონისა (იხ. კანონთა და მთავრობის განკარგულებათა კრებული № 13) იუსტიციის სამინისტროსთან არსებული საკოდიფიკაციო განყოფილება გადავიდა საქართველოს სენატის გამგებლობაში. სენატის საკოდიფიკაციო განყოფილება საყოველთაოდ აცხადებს რა ამას, უმორჩილესად სთხოვს ყველა დაწესებულებათა და უწყების ხელმძღვანელთ, ყოველგვარი მიწერ მოწერა აწარმოონ სენატთან, და არა იუსტიციის სამინისტროსთან, არსებული საკოდიფიკაციო განყოფილებასთან, როგორც ამას აქამდის ჰქონდა ადგილი.
136 საკოდიფიკაციო განყოფილების გამგე შ. დადიანი.

## ტფილისის სამხედრო ბინათა დისტანცია

აცხადებს რომ 3 დეკემბერს, ამა წელს თავის კანცელარიაში (ინჟინერის ქუჩა № 2) დანიშნულია შეჯიბრება შეშის და ქვანახშირის გადასაზიდათ დიდუბის შეშის საწყობიდან (ანდრიას და ბათუმის ქუჩების კუთხე) სამხედრო უწყებების და ჯარის ბინებში ვადით 1 დეკემბრიდან ამა წლის 1 აპრილამდი 1920 წლ.

ვისაც სურს მიიღოს მონაწილეობა შეჯიბრებაში, უნდა შემოიტანოს განცხადება აღნიშვნით, რა ფასში შეუძლიან გადაზიდვა 1 კუბ. საჟ. შეშისა და 1 ფუთი ნახშირისა. განცხადება მიიღება არა უგვიანეს 2 დეკემბრისა. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება კანცელარიაში დილის 9 საათიდან 3 საათამდის. 3—1 161

გამოვიდა და იყიდება ჟურნალი
„ხელოვნება“
№ 2.
ფასი 2 თუმანი
რედაქტორ-გამომცემელი ს. ახლანიშვილი

## ოფიციალური განყოფილება.

## დეკრეტი

**შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველად 10.000,000 მანეთის კრედიტის გახსნისა.**

1. გადაიდოს ანარქიის წინააღმდეგ საბრძოლველად ათი მილიონი (10.000,000) მან. სახელმწიფო ხაზინიდან.

2. პირველ მუხლში აღნიშნული თანხა გადაეცეს შინაგან საქმეთა მინისტრს განკარგულებად.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მიღებისა დამფუძნებელი კრების მიერ.

1919 წ. ნოემბრის 11-ს.

საქართველოს დამფუძნებელი კრების თავმჯდომარის უფროსი ამხანაგი ალ. ლომთათიძე.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.

## ბრძანება

**საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობისა**

17 გიორგობისთვე, 1919 წ., № 34.

დამფუძნებელ კრების წევრი ივანე თედორეს ძე ჭავჭანიძე დაინიშნოს მომარაგების მინისტრის ამხანაგათ ამა წლის 13 ნოემბრიდან.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.

მთავრობის საქმეთა მმართველი ქ. ჯაფარიძე.

—

17 ნოემბერი, 1919 წ. № 35.

ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ბახტაძე დაინიშნოს შრომის მინისტრის ამხანაგათ ამა წლის ნოემბრის 15-დან.

მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევგ. გეგეჭკორი.

მთავრობის საქმეთა მმართველი ქ. ჯაფარიძე.

## განკარგულებანი.

**ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრისა.**

30 სექტემბერი, 1919 წ. № 22.

**ინიშნებიან:** მთავარ საბაჟოში: ფოთის საბაჟოს საწყობის ზედამხედველი კონ. ქაჯაია უფროს კონტროლიორად.

ფოთის საბაჟოში: ახალ-ათონის საბაჟოს გამგე ალ. ხაინდრავა უმცროს კონტროლიორად, ნატანების საბაჟოს გამგე კ. აბაშიძე საწყობის ზედამხედველად.

ოჩემჩირის საბაჟოში: ფოთის საბაჟოს მოხელე ბ. ბეთანიშვილი გამგეთ.

ახალ ათონის საბაჟოში: ამავე საბაჟოს გამგის თანაშემწე ოვსიანკოვი გამგეთ.

**გადაიყვანება:** ნატანების საბაჟოში: ოჩემჩირის საბაჟოს გამგე ი. გოგიტაძე ამავე თანამდებობაზე.

**ირიცხებიან სამსახურიდან** პასუხის გებაში მიცემით: ნატანების საბაჟოში: ამავე საბაჟოს კონტროლიორი გ. შოთხიაშვილი და ნატანების საბაჟოში კონტროლიორის თანამდებობის აღმასრულებელი, გამგე აბასთუმანის საბაჟოსი ს. ოქრომჭედლიშვილი 20 სექტემბრიდან 1919 წ.

ყველა ზემოდასახელებულნი პირნი ინიშნებიან და გადაიყვანებიან ხსენებულ თანამდებობაზე 20 სექტემბრიდან 1919 წელს.

ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრი კ. კანდელაკი.

მთავარ საბაჟოს გამგე ბ. მიქაძე.

—

**ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის სამმართველოსი.**

1-ლი ნოემბერი, 1919 წ. № 62.

**გამწესებულნი არიან:** ყოფილი ფოსტალიონი დავით ხარაბაძე ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეთ მეექვსე ხარ. შულავერის კანტორაში, ყოფილი ზედამხედველი დავით მაჭარაშვილი ზედამხედველად მაღალი ჯამაგირით ქიათურის კანტორაში, ყოფილი მოხელე სამსონ ხოჭოლავა, ახლათ მეხუთე ხარისხის მოხელეთ გაგრაში. ხარაბაძე და ხოჭოლავა 6 ნოემბრიდან, მაჭარაშვილი პირველ ნოემბრიდან 1919 წელსა.

**გადაყვანილნი არიან:** ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები მეხუთე ხარისხისა ფოთის ერასტი მურღულია, გაგრის—ვასილ უჩამეიშვილი. ფოსტალიონები: ტფილისის ფოსტის ივანე კავზინაძე, ხონის გურია ყიფიანი იმავე წოდებებით თანახმად თხოვნისა პირველ ნოემბრიდან 1919 წელსა. მურღულია—გაგრაში, უჩამეიშვილი ფოთში, კავზინაძე—ხონში, ყიფიანი ტფილისის ფოსტაში.

**დათხოვნილი არიან სამსახურიდან:** ფოსტა-ტელეგრაფის მოხელეები: სამტრედიის სიმონ ჯინჭველაშვილი, ფოთის ქსენია ღლონტი, ფოსტალიონები: ლაგოდეხის კანტორის გიორგი მაჩხანელი. ღლონტი 1 დეკემბრიდან 1918 წელსა, ჯინჭველაშვილი და მაჩხანელი 1-ელ ნოემბრიდან 1919 წელსა. ჯინჭველაშვილი და ღლონტი თანახმად თხოვნისა.

**გამორიცხულნი არიან სიიდან:** მეხუთე ხარისხის მოხელე სამტრედიის კანტორისა კლემენტი მესხი და ფოსტალიონი ტფილისის ფოსტის კანტორისა იოკიმე ნოდია. მესხი სამსახურში გამოუცხადებლობის გამო 1918 წ. 6 დეკემბრიდან და ნოდია სამხედრო სამსახურში მიღების გამო 1 ოქტომბრიდან 1919 წელსა.

—

**ბორჯომის უბნის მომრიგებელ მოსამართლისა.**

№ 1.

**დანიშნულია:** ყოფილი ქ. ტფილისის მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობის ბოქაულის თანამდებობის აღმასრულებელი ნიკოლოზ გიორგის ძე ხატიშვილი ბორჯომის უბნის სასამართლოს მდივნად—ამა წლის პირველ ენკენისთვიდან.

№ 2.

**დანიშნულია:** ბარბარე ესტატეს-ასული ხატიშვილისა ამავე სასამართლოს კანცელარიის გადამწერად ამა წლის ენკენისთვის პირველიდან.

№ 3.

**დანიშნულია:** იმავე სასამართლოს თარჯიმანის თანამდებობის აღმასრულებლათ დავით დიმიტრის ძე სავანელი ამა წლის პირველ გიორგობისთვიდან.

№ 4.

**დანიშნულია:** რუბენ არტემის ძე ოგანეზოვი ამავე სასამართლოში კანცელარიის გადამწერად-ამა წლის გიორგობისთვიდან.

№ 5.

**დანიშნულია:** ლევან ხუციშვილი სასამართლოს დარაჯად პირველ ღვინობისთვიდან.

№ 6.

**დათხოვნილია:** სამსახურიდან ლევან ხუციშვილი ამა წლის პირველ გიორგობისთვიდან.

№ 7.

**დანიშნულია:** ივანე დიმიტრის ძე ჯოლერდიშვილი სასამართლოს დარაჯად პირველ გიორგობისთვიდან.

№ 8.

**დანიშნულია:** მარიამ ივანეს ასული მინაძე სასამართლოს კანცელარიაში გადამწერათ ა. წ. შვიდ გიორგობისთვიდან.

—

**ამაშუკეთის უბნის მომრიგებელ მოსამართლისა.**

20 ოქტომბერი, 1919 წ.

1. **ინიშნება:** შორაპნის სამაზრო ერობის გამგეობის სურსათის საქმის მწარმოებელი პავლე კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძე ამაშუკეთის სამომრიგებლო სასამართლოს მდივნათ ამა 17 ოქტომბ. 1919 წ.

2. **ინიშნება:** იუსტინე ანდრიას ძე კობახიძე ამაშუკეთის სამომრიგებლო სასამართლოს თარჯიმანათ 10 ოქტომბრიდან, როგორც გადმოყვანილი დილიკაურის უბნის სამომრიგებლო სასამართ.

3. **ინიშნება:** პოლინე ნოშრევანის ასული ჩხეიძე ამაშუკეთის სამომრიგებლო სასამართლოს მანქ. გადამწერათ. 10 ოქტომბრიდან 1919 წ.

4. **ინიშნება:** ნინო ბიქტორის ასული ამაშუკელი ამაშუკეთის სამომრიგებლო სასამართლოს გადამწერათ. 10 ოქტ. 1919 წ.

5. **ინიშნება:** აკაკი გრიგორის ძე ამაშუკელი ამაშუკეთის სამომრიგებლო სასამართლოს გადამწერათ. 10 ოქტ. 1919 წ.

6. **ინიშნება:** ზაქარია ნიკოს ძე კურტანიძე ამაშუკეთის სამომრიგებლო სასამართლოს კურიერათ 10 ოქტ. 1919 წ.

7. **ინიშნება:** ტერენტი ანტონის ძე ბარბაქაძე ამაშუკეთის სამომრიგებლო სასამართლოს მსახურათ. 10 ოქტ. 1919 წ.

ამაშ. უბნ. მომრიგებელი მოსამართლე მ. შოთაძე.

# ცირკულიარული

**საქართველოს ქალაქთა და ერობათა გამგეობებს.**

იუსტიციის სამინისტროს მოხსენებიდან ირკვევა, რომ აუარებელი საქმეები რჩება გაურჩეველი სასამართლოების მიერ მხოლოდ იმიტომ, რომ მილიცია უწყებებს არ აბარებს გამოწვეულ პირთ და მით მართლმსაჯულების საქმეს აფერხებს. წინადადებას გაძლევთ გამოუცხადოთ მილიციას, მის მთავარ მოვალეობათაგანია სასამართლოს და გამომძიებელთა განკარგულებების სწრაფი ასრულება და ჩადენილ დანაშაულებათა შესახებ მათთვის საჩქაროთ შეტყობინება წინაღმდეგ შემთხვევაში მილიციის მოსამსახურენი სამსახურიდან დათხოვნილი და სამართალში მიცემული იქნებიან.

ამასთანავე გაუწყებთ, რომ თუ დღეიდან ერთი თვის განმავლობაში მილიციამ ვერ გამოასწორა ეს თავისი ნაკლოვანება და იუსტიციის მინისტრმა კიდევ საჩივრით მომმართა ადმინისტრაციის უმოქმედობაზე-ჩემ მიერ სასტიკი ზომები იქნება მიღებული კომისრების და მილიციის უფროსების წინაღმდეგ, რომელთაც სამსახურიდან გადაყენებასაც არ ვაკარებ.

მთავრობის თავმჯდომარე **ნ. ჟორდანია.**

---

## არა ოფიციალური განყოფილება

---

# მთავრობაში

**11 ნოემბრის სხდომა.**

დაესწრენ: მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე ევ. გეგეჭკორი; მინისტრები ბ-ნნი რამიშვილი, ხომერიკი, კანდელაკი, სახელმწიფო კონტროლიორის ამხანაგი ბ-ნი ანდრონიკაშვილი; მინისტრთა ამხანაგები: ბ. გელეიშვილი, გედევანიშვილი, ცინცაძე, ერაძე, ნ. ჭიჭინაძე, ავალიანი; დეპარტამენტთა დირექტორები: ბ-ნი ჭიჭინაძე, ჟორდანია, სასურსათო საბჭოს თავმჯდომარე ბ-ნი სოლომაშვილი; საქმეთა მართველი კ. ჯაფარიძე; მდივანი დ. ლომთაძე.

**ხეთა-ზუგდიდის რკინის გზის გაყვანა**

საჭიროთ იქნა ცნობილი ხეთიდან ზუგდიდამდე რკინის გზის გაყვანა, დაწვრილებითი ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა დაევალოს გზათა მინისტრს, რომელმაც გამოიმუშაოს პირობები მუშაობის წარმოებისა სათანადო ერობასთან შეთანხმებით.

**დანიშვნანი.**

ქუთაისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებელი გიორგი კონსტანტინეს ძე ხარაზაშვილი განთავისუფლებულ იქნას თანამდებობიდან მისი თფილისის სასამართლოს პალატის წევრათ დანიშვნის გამო.

ქუთაისის საგანგებო სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგი გრიგოლ პლატონის ძე დადიანი განთავისუფლებულ იქმნას თანამდებობიდან მისი ქუთაისის ოლქის სასამართლოს წევრათ დანიშვნის გამო,

სოხუმის საგანგებო საქმეთა გამომძიებელი თევდორე ტრიფონის ძე ივანოვი განთავისუფლებულ იქმნას თანამდებობიდან მისი სოხუმის ოლქის სასამართლოს წევრათ დანიშვნის გამო.

დიმიტრი ჩხატარაიშვილი დაინიშნოს ა/წ. სექტემბრის 18 დან სოხუმის საგანგებო სასამართლოს ბრალმდებლათ, სოხუმის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის თანამდებობის აღმასრულებლათ დატოვებით.

**შინაურულ წესით გაყიდულ მამულების საქმეთა შეჩერება.**

მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას პროექტი დეკრეტისა სასამართლოში სამოქალაქო საქმეთა წარმოების შეჩერებისა მცხოვრებლებზე შინაური საბუთებით გადასულ მიწების შესახებ.

**10,233 მან. გადიდება ხონის სახელოსნო სასწავლებლისათვის.**

ხონის სახელოსნო სასწავლებლის საჭიროებისთვის გადაიდოს განათ. სამ. განკარგულებაში 10, 233 მ. და 1 კაპ. 10 მილიონიან ფონდიდან

**დახმარება ჟურნალ „განათლება“-ს**

გადაიდოს განათლ. ს მინისტრის განკარგულებაში 3,000 მ.ნ. 10 მილიონიან ფონდიდან ჟურნალ „განათლებისთვის“. ერთდროულ დახმარებათ.

**42,710 მან. ფიზიკურ აბსერვატორიისათვის.**

გადაიდოს განათლების სამინისტროს განკარგულებაში 42,710 მან. 10 მილიონიან ფონდიდან ფიზიკურ აბსერვატორიის კირანის სადგურისთვის დამატებით ხარჯებისთვის და კირანის გზის შესაკეთებლად.

**რკინის გზის მოსამსახურეთა პენსიის გადიდება.**

მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას პროექტი დეკრეტისა სახაზინო დ. კახეთის რკინის გზის პენსიონერთათვის პენსიის დამატების შესახებ.

**შაბიამანი და გოგირდი.**

სასურსათო საბჭოს განკარგულებაში არსებული შაბიამანი და გოგირდი გადაეცეს მიწათ მოქმედების სამინისტროს და ამ უკანასკნელის ორდერებით მოხდეს მისი განაწილება მომხმარებელთა შორის სასურსათო საბჭოსგან დადებულ ფასებში, აეკრძალოს სასურსათო საბჭოს შაბიამანის და გოგირდის დამოუკიდებლივ განაწილება დღიდან მთავრობის დადგენილებისა.

**5 მილიონიანი ფონდის შესაქმნელათ.**

მიწათ-მოქმედების მინისტრის მოხსენება მცხოვრებთათვის დასახმარებლათ (სათესლეს მიცემა და სხვა) განსაკუთრებულ 5 მილიონიან ფონდის დაარსების საჭიროების შესახებ მიღებულ იქნას და მასვე დაევალოს სათანადო დეკრეტის შემუშავება მთავრობაში წარმოსადგენათ.

**საერობო არჩევნები ზუგდიდის მაზრაში.**

შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება ზუგდიდის მაზრაში ერობის ხმოსანთა ახალ არჩევნების დანიშვნის შესახებ მიღებულ იქნას. არჩევნები მოხდეს ერობის ხმოსანთა რწმუნების ვადის გათავებისას (1920 წ. 1 იანვარი.

# განათლების სამინისტროში.

**უცხოეთში გასაგზავნ სტუდენტების საყურადღებოთ**

განათლების სამინისტრო განმეორებით აფრთხილებს უცხოეთში გასაგზავნ ახალგაზრდებს, რათა მათ დაჩქარებით აიღონ შინაგან საქმეთა სამინისტროდან უცხოეთის პასპორტი და წარადგინონ სამხედრო ბეგარიდან განთავისუფლების მოწმობასთან ერთად განათლების სამინისტროს კანცელარიაში.

# იუსტიციის სამინისტროში

**დანიშვნები.**

ქუთაისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარიდ სენატის მიერ დანიშნულ იქმნა იმავ სასამართლოს თავმჯდომარის ამხანაგი ი. დ. სიდამონ-ერისთავი. ტფილისის მეორე სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამომძიებლის თ. ა. დაინიშნა ქ. ტფილისის მეორე უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებელი დ. გ. გაბაშვილი სოხუმის მეორე უბნის გამომძიებლის თანამდებობის აღმასრულებლად დაინიშნა ყოფილი წევრი სოხუმის საგანგებო სასამართლოსი გ. არეპიევი.

**კლუბების საკითხი.**

რადგან იუსტიციის სამინისტროს მიერ დაბარებულ ტფილისის კლუბების საქმეებიდან გამოირკვა, რომ ზოგიერთ კლუბების წესდებაში შეტანილია კანონით აკრძალული უკანონო ქაღალდის თამაში, სამინისტრომ წინადადება მისცა ტფილისის სასამართლო პალატის პროკურორს სამას დღის განმავლობაში აღძრას პალატაში საკითხი ოლქის სასამართლოს მიერ მიცემულ სათანადო ნებართვათა გაუქმებისა. ხსენებულ კლუბთა რიცხვი თორმეტია. მათი სია ეცნო შინაგან საქმეთა სამინისტროს, ამასთანავე წინადადება მიეცა ტფილისის ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს, რათა ამიერიდან ყოფილი თანხა ახალ კლუბების დაარსების შესახებ წარმოდგენილ წესდების პირთან ერთად წინასწარ ეგზავნებოდეს სასამართლოს პროკურორს და იუსტიციის სამინისტროსაც.

**გამომძიებელთა თათბირი.**

იუსტიციის დეპარტამენტის მმართველის გ. თ. ჟორდანიას განკარგულებით, კვირას, ნოემბრის 16 ს, მოწვეულ იქმნა მეორე თათბირი ქ. ტფილისის მაზრის გამომძიებლებისა, პირველ თათბირზე გამომძიებლებმა წარმოადგინეს წერილობითი მოხსენებები იმ გარემოებათა შესახებ, რომლებიც აბრკოლებენ საგამომძიებლო აპარატის წესიერს მოქმედებას. წარმოდგენილი გადაეცემა საგანგებო კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს საგამომძიებლო ნაწილის გასაუმჯობესებლად საჭირო ზომების გამონახვა.

**ტრამვაის ბილეთები გამომძიებლებისათვის.**

იუსტიციის სამინისტრომ შუამდგომლობა აღძრა ქ. ტფილისის გამგეობის წინაშე, რათა ტფილისში მცხოვრებ გამომძიებელთ მიეცეთ ფასიანი ბილეთები ტრამვაის წინა ბაქანზე მეხუთე ადგილის დასაჭერად, რადგან ჩვეულებრივ წესით ტრამვაით მოგზაურობა ძლიერ აფერხებს გამომძიებლის წესიერ საქმიანობას.

**საგანგებო საქმეთა გამომძიების დაჩქარებისათვის.**

რადგან საგამომძიებლო კამერების დათვალიერების დროს გამოირკვა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში გამომძიებელი აგვიანებს გამოძიების დაწყებას, იუსტიციის სამინისტრომ მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს თხოვნით, რათა სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ თვალსაჩინო ბოროტმოქმედებათა აღმოჩენის შესახებ სათანადო ამბავი სათანადო თანამდებობის პირთ გარდა დაუყონებლივ ტელეფონით ეცნობოდეს აგრეთვე პირადად იუსტიციის დეპარტამენტის მმართველსაც.

**ახალი კანონ-პროექტი.**

იუსტიციის სამინისტრომ შეიტანა დამფუძნებელ კრების იურიდიულ კომისიაში კანონპროექტი სასამართლო დაწესებულებათა ორგანიზაციის გასამარტივებლად ზოგიერთ დაწესებულების და თანამდებობის გაუქმებისა. განზრახულია გაუქმება ტფილისის სასამართლო პალატის უფროსის თავმჯდომარის თანამდებობისა, ტფილისის მეორე სისხლის სასამართლოს განყოფილებისა, ამავ სასამართლოს მეორე სამოქალაქო სასამართლოს განყოფილებისა და სხვ.

**საერთო სასამართლოს თანამდებობის პირთა დანიშვნისათვის.**

იუსტიციის სამინისტრომ ცირკულიარი გაუგზავნა საერთო სასამართლო დაწესებულებათა თავმჯდომარეებს იმის შესახებ, რომ ხსენებულ დაწესებულებათა წარდგინანი სენატში სასამართლო უწყების თანამდებობის პირთა დანიშვნის შესახებ უნდა ეძლეოდეს ცნობად აგრეთვე სამინისტროს. სათანადო მოწერილობა გაეგზავნოთ აგრეთვე სენატის სისხლის სამართლის და სამოქალაქო სამართლის საკასაციო დეპარტამენტების პროკურორებს.

# საგარეო საქ. სამინისტროში

**უორდროპის წერილი ევგ. გეგეჭკორს.**

ნოემბრის 5-ს საგარეო საქმეთა მინისტრმა ე. პ. გეგეჭკორმა მიიღო ბრიტანეთის უმაღლეს კომისარის ო. უორდროპისგან შემდეგი წერილი:

ბ-ნი უორდროპი მიესალმება ბ-ნ გეგეჭკორს და ნოემბრის 1-ის № 29 მემორანდუმის დამატებით იწრაფვის აცნობოს, რომ მას ახლა შეუძლია ბ-ნი გეგეჭკორი გადაჭრით დაარწმუნოს, რომ სიტყვები, ნახმარი იმ მოწოდებაში, რომელიც მიაწერეს პოლკოვნიკ როლანდსონს, როგორც საგარეო საქმეთა სამინისტროს ატყობინებდა ბ-ნი უორდროპი, სრულებით არ გამოხატავს ბრიტანეთის მთავრობის შეხედულებას.

---

# საქართველოს გარეშე.

**საქართველოს მისიის მეთაური იტალიის პრემიერთან.**

იტალიის გაზ. „ილ-მესაჯეროს“ 3 ნოემბრის ნუმერში დაბეჭდილია შემდეგი:

2 ნოემბერს, 6 საათზე, მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ნიტტიმ მიიღო საქართველოს მისიის მეთაური, რომელიც მას ბისაგატიმ წარუდგინა.

უკვე რამოდენიმე დღეა, რაც საქართველოს მისია რომში იმყოფება და ამ ხანში ბევრჯერ ესაუბრა საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგს გრაფ ფორცას.

საქართველოს მისიის მეთაურმა ნიტტისთან ლაპარაკში მოისურვა არამც თუ გამოეთქვა არა თუ მხოლოთ პატივისცემა ჩვენი მთავრობის მთავრობის მეთაურისადმი, არამედ ყურადღებაც მიექცია 2 ფრიად მნიშვნელოვან საკითხისთვის. ჯერ ერთი, მან წინადადება მისცა, რომ პარიზში მყოფი იტალიის დელეგაცია დათანხმდეს, რომ იკისროს საქართველოს ინტერესების დაცვა და ეცადოს, რათა ეს ახალგაზრდა რესპუბლიკა ცნობილ იქმნას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ. მეორეც ის, რომ ის დაბეჯითებით მოითხოვდა სავაჭრო და ეკონომიურ ურთიერთობის დამყარებას საქართველოსა და იტალიას შორის.

ჩვენ ვიცით, რომ ნიტტი დაპირდა თავის სრულ დახმარებას ამ 2 საკითხის გადაწყვეტაში.

**ბ-ნ ჩერქეზიშვილის წერილი ფრანგულ გაზეთში.**

ჟურნალ La Revue de Paris“-ს მწიფობისთვის ნომერში დაბეჭდილია დიდი წერილი მთელ ევროპაში კარგად ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწის ვარლამ ჩერქეზიშვილისა, სათაურით: „საქართველო, მისი წარსული და მისი პოლიტიკური უფლებები“; წერილი პირდაპირ შეეხება თანამედროვე მომენტს და უტყუარი ლოღიკური საბუთით ამტკიცებს ქართველ ერის უფლებას სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობაზე.

„უცხოეთის დელეგატთა შორისა, რომელნიც პარიზში იმყოფებიანო.—იწყებს ბ-ნი ჩერქეზიშვილი თავის წერილს, არის საქართველოს დელეგაციაცო. ეს დელეგაცია გამოგზავნილ იქმნა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის მიერ, რათა დაიცვას კონფერენციის წინაშე საქართველოს უფლება აღიარებულ იქნას, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და მიღებული ერთა საზოგადოებაში“. საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით საქართველოს აქვს უდაო უფლება იყოს დამოუკიდებელი, რადგან შეუერთდა რა რუსეთს თავისუფლად პროტექტორატის ხელშეკრულებით ის იძულებული გახდა. როდესაც რუსის იმპერია დაინგრა, აღადგინა თავისი განკერძოებული არსებობა. ამ ერთი წლის თავისუფალ არსებობის განმავლობაში საქართველოს რესპუბლიკამ თავისი კონსტიტუციით, სოციალურ და პოლიტიკურ ცხოვრების მოწყობით აშკარად დაანახვა მთელ ქვეყნიერობას, რომ ის ღირსია მიღებულ იქმნას განათლებულ და დემოკრატიული ერთა დიდი ოჯახის წევრად“ შემდეგ ბ-ნი ჩერქეზიშვილი აღნიშნავს, რომ დღევანდელი თაობა განათლებულ კაცობრიობის, საქართველოს იცნობს, როგორც რუსის იმპერიის ერთ პროვინციასო. და ამის შემდეგ გადმოგვცემს მოკლედ, მაგრამ მეტად მკაფიოდ საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ისტორიას. აღნიშნავს რა საქართველოს გამშმაგებულ ბრძოლას არსებობისათვის საშუალო საუკუნოების განმავლობაში, ბ-ნი ჩერქეზიშვილი სამართლიანათ დაასკვნის: კანონიერი და სამართლიანი ქნება. 1919 წ. ევროპამ გაიგონოს, თუ რა დიდი სამსახური გაუწია საქართველომ ევროპას რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, როცა მან მსხვერპლად შესწირა საუკეთესო შვილები დასავლეთის ცივილიზაციის დასაცველად. ბ-ნი ჩერქეზიშვილი დაწვრილებით არკვევს რუსეთთან საქართველოს ხელშეკრულების ბუნებას, ეხება ჩვენს პოლიტიკურ რევოლუციას მეცხრამეტე საუკუნეში, ჩვენს კულტურულ დონის დევნას, რომელსაც ქართველი ერი განიცდიდა რუსთა ბატონობის დროს და დასასრულ დაასკვნის: „ჩვენ აქ არაფერს ვამბობთ საქართველოს ბუნებრივ სიმდიდრის შესახებ. სამრეწველო და სავაჭრო წრეებმა ეს კარგათ იციან. ამ სიმდიდრეთა გასავითარებლად საქართველო საჭიროებს უფრო დაწინაურებულ ქვეყანათ თანამშრომლობას. მაგრამ, რომ შესძლოს საქართველომ ეს სიმდიდრე განავითაროს და ეკონომიური აღორძინება შესძლოს, მისთვის საჭიროა ყოველ უწინარეს მისი პოლიტიკური მედი უზრუნველ ყოფილ იქმნას. სწორედ ამ აზრით გაგზავნა საქართველოს მთავრობამ პარიზში ოფიციალური დელეგაცია, რათა მიაპყროს ევროპის ყურადღება საქართ. პოლიტიკურ უფლებებზე და იმ პოლიტიკურ და სოციალურ ორგანიზაციაზე, რომლის განხორციელებაც ქართველმა ერმა შესძლო თავის ერთი წლის დამოუკიდებელ არსებობის განმავლობაში. მართლაც ეს ორგანიზაცია არის მისი სიცოცხლის ძალის საუკეთესო გამოცდა და გარანტია.

ახალგაზრდა რესპუბლიკა სთხოვს დღეს მოკავშირეთ იცნონ მისი დამოუკიდებლობა და მიიღონ ის ერთა საზოგადოებაში. ის მით უფრო იმედოვნებს ამ აღიარებას, რომ კიდევ 1885 წელს ყირიმის ომის დროს, საფრანგეთმა, ინგლისმა და მათმა მოკავშირე ოსმალეთმა აღუთქვეს საქართველოს, თუ ის რუსეთს არავითარ დახმარებას არ გაუწევდა, აღდგინათ მისი დამოუკიდებლობა. 25 ნოემბერს 1885 წელს საფრანგეთის წარმომადგენელი გრაფი მეფრაი სწერდა:

„ჩვენ თქვენთვის მოგვაქვს დამოუკიდებლობა; ევროპას სურს, თქვენ შესვლდეთ განათლებულ ერთა დიდ ოჯახში“. მიუხედავად ასეთი დაპირებისა, საქართველომ არ ისურვა რუსეთთან დადებულ ხელშეკრულების დარღვევა. დღეს რომანოვთა იმპერიის დანგრევით ის სრულიად თავისუფალია ყველა წინანდელ კავშირისაგან და მთელი ქართველი ერი მოითხოვს პოლიტიკურ და მორალურ უფლებას ხელახლა დაიჭიროს თავისი ისტორიული ადგილი დამოუკიდებელ ერთა შორის“.

**აღმოსავლეთის საკითხი და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები.**

გაზეთ „ვაქტის“ სიტყვებით, გენ. ჰარბორდის მისიამ გამოიტანა დასკვნა, რომ აღმოსავლეთის საკითხის უმტკივნეულოდ გადაჭრისათვის და აღმოსავლეთის ხალხთა არსებობის დასაცავად, ამერიკამ უნდა მიიღოს მანდატი არა მარტო ოსმალეთსა და სომხეთზე არამედ ადერბეიჯანსა და საქართველოზედაც...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## სახალხო გვარდიის მთავარ შტაბში

სახალხო გვარდიის მთავარმა შტაბმა ლანჩხუთიდან შემდეგი დეპეშა მიიღო:

„გთხოვთ განკარგულებას, უარყოთ ცნობა, თითქოს ბოლშევიკებს ხელში ჩაევდოთ ლანჩხუთის ყველა სახელმწიფო თუ სხვა დაწესებულებანი. ბოლშევიკებმა ხელში ჩაიგდეს მხოლოდ მილიციის სამმართველო, სადაც 4 მილიციონერი იყო. 2 საათის შემდეგ გვარდიამ და მილიციამ უკვე დაიბრუნა სამმართველო. დატუსაღებულია 100-ზე მეტი ბოლშევიკი. ვსარგებლობთ შემთხვევით და გადმოგცემთ ხალხის ერთსულოვნობას ნაძირალების წინააღმდეგ. წესრიგი სავსებით აღდგენილია. ბევრი გაქცეული ბრუნდება და გვნებდება.

ქალაქის მოურავის ამხანაგი, შტაბის საპატიო თავმჯდომარე იმნაძე.

## ე რ ო ბ ა.

### სასურსათო თათბირი

შაბათს, 15 ნოემბერს გაიხსნა ერობათა სასურსათო განყოფილების წარმომადგენელთა თათბირი, რომელმაც 2 დღეს გასტანა. თათბირს დაესწრნენ ლეჩხუმის, ზუგდიდის, თელავის, შორაპნის, ბორჩალოს, გუმისტანის, რაჭის, დუშეთის, ტფილისის, კოდორის, სენაკის და გორის ერობათა და მიწათ-მოქმედების სამინისტროს წარმომადგენელნი.

## მუნიციპალური ცხოვრება.

### ჭიათურის ქალაქის საბჭოში

1 ნოემბერი, 1919 წელი. ქალაქ ჭიათურაში, თვითმართველობის ბინაზე შედგა ქალაქის საბჭოს მორიგი კრება, რომელსაც დაესწრნენ ქალაქის მოურავი პლატონ სპირიდონის ძე მოდებაძე, გამგეობის წევრნი: ევ. თოდუა და ის. ხარატიშვილი და 14 ხმოსანი. კრება გახსნა ქალაქის საბჭოს თავმჯდომარემ გიორგი ანტონის ძე ანთელაძემ საღამოს $7^{1}/_{2}$ საათზე. საბჭოს მდივანმა წაიკითხა წინა კრების ოქმი.

ხმოსანი გიორგი ფხალაძე აცხადებს, რომ საჭიროა მოწვეულ იქნეს ხმოსნად ნაცვლად სიმონ დ. ჯაფარიძისა სოც. დემ. სიით შემდეგი მორიგი კანდიდატი ალექსანდრე იოსების ძე ხაჩულიანი, რასაც საბჭო ადასტურებს.

**1. შემოტანილ და გატანილ ყოველგვარ საქონელზე (გარდა შავი ქვისა) საფუთო გადასახადის დაწესება.**

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ევ. თოდუა, რომელიც სთხოვს საბჭოს დააწესოს ყოველგვარ საქონელზე (გარდა შავი ქვისა) საფუთო გადასახადი, რისი უფლებაც ქალაქის თვითმართველობებს აქვთ თანახმად 21 ივლისის 1919 წ. დეკრეტისა. ადგილობრივ თვითმართველობათა სასარგებლოდ დაწესებულ საფუთო გადასახადისათვის მომქმედ კანონდებულებათა შეცვლისა და შევსებისა. მანვე დაწვრილებითი ცნობები მიაწოდა საბჭოს, თუ რა გვარად იქნება დადებული საფუთო გადასახადი.

ალ. გრიგოლაშვილი თანახმაა დაწესებულ იქნეს საფუთო გადასახადი წარმოდგენილი ტარიფით რკინის გზით შემოტანილ გატანილ საქონელზე (გარდა შავი ქვისა), მხოლოდ მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ეხლანდელი ფულის კურსი, შემდეგ კი საჭიროა გადასინჯულ იქნეს კურსის ცვლილების მიხედვით საბჭოს დადგენილება ამის შესახებ.

ხმ. პ. აბესაძე წინააღმდეგია საფუთო გადასახადის დაწესებისა, რადგან ეს გამოიწვევს ხალხში მითქმა-მოთქმას და იმდენ შემოსავალს კი არაფერს მისცემს ქ. თვითმართველობას.

კამათის შემდეგ საბჭოს გამოაქვს შემდეგი დადგენილება: დაწესებულ იქნეს თანახმად შემოხსენებულ დეკრეტისა (21 ივლისის 1919 წ.). საფუთო გადასახადი რკინის გზით შემოტანილ და გატანილ ყოველგვარ საქონელზე (გარდა შავი ქვისა). და ეს გადასახადი, თანახმად ამავე დეკრეტის მეოთხე მუხლისა განისაზღვრებოდეს სატარიფო გადასახადის გაორკეცებით.

ხმ. ალ. გრიგორაშვილს წინადადება შემოაქვს დაწესებულ იქნეს ეს გადასახადი ერთი წლის ვადით.

ევ. თოდუა განმარტავს, რომ ვადის განსაზღვრა საჭირო არაა, რადგან ხმოსნებს უფლება აქვთ შემოიტანონ წინადადება ამა თუ იმ გადასახადის მოხსნისა. ამ რიგათ საბჭო უარჰყოფს გადასახადის დაწესებაზე ვადის განსაზღვრას.

**2. თვითმართველობის მოსამსახურეების ჯამაგირების მომატება.**

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ის. ხარატიშვილი, რომელმაც დაწვრილებით გააცნო კრებას ახლად შემუშავებული მომატებები, თანახმად მოსამსახურეთა მოთხოვნილებისა. ამავე საკითხზე მსჯელობა ჰქონია საფინანსო საბიუჯეტო კომისიას, რომლის თავმჯდომარე ალ. გრიგორაშვილმა გააკეთა მოხსენება და მასთან საბჭოს წარმოუდგინა დადგენილებების შესაფერისი ოქმი (30 ოქტომბერი 1919 წ.), ამასთანავე საფინანსო კომისიის თავმჯდომარემ ალ. გრიგორაშვილმა მოახსენა საბჭოს, რომ კომისიამ საჭიროდ სცნო მოუმატოს ჯამაგირები ქალაქის მოურავს და გამგეობის წევრთ თითოეულს 700 მ. თვიურად.

საბჭოს მიერ მიღებულ და დამტკიცებულ იქნა გამგეობისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის შემუშავებული შტატი ქალ. თვითმართველობის მოსამსახურეთა.

ხმ. გრ. ფხალაძეს წინადადება შემოაქვს გადიდებულ იქნას დღიური გამგეობის წევრთათვის.

მცირე კამათის შემდეგ კრება ღებულობს შემდეგ წინადადებას: გადიდებულ იქნას დღიური 200 მანეთამდე გარდა ბათომისა. ბათომში წასვლელ ქალაქის საქმეებზე გამგეობის წევრთ ეძლეოდეთ თანახმად წარმოდგენილი ანგარიშისა.

ხმ. პ. აბესაძეს შეკითხვა შემოაქვს: დღევანდელმა კრებამ გაადიდა დღიური გამგეობის წევრთათვის და უკეთუ თვითმართველობის მოსამსახურეთ შეხვდათ წასვლა ქალაქის საქმეზე მათ რა ანგარიშით უნდა ეძლეოდეთ დღიურიო.

თავმჯდომარე განმარტავს, რომ ეს ახალი საკითხია და საჭიროა წარმოდგენილ იქნას მომავალ სხდომისათვის.

**3. შავი-ქვის მრეწ საბჭოსგან გადმოსულ მოსამსახურეთა ლიკვიდაცია.**

საბჭოს თავმჯდომარის განცხადების გამო, რომ ეს კითხვა წინასწარ არ განუხილავს საფინანსო საბიუჯეტო კომისიას, გადადებულ იქნას შემდეგი სხდომისათვის.

**4. დამატებითი ხარჯთ აღრიცხვა ყვირილის მარჯვენა ნაპირის გასამაგრებელი კედლისა**

დაწვრილებით მოხსენებას აკეთებს ქალაქის მოურავი პ. მოდებაძე, რომელიც განმარტავს მიზეზებს გეგმის ძირიანად შეცვლისას: რკინის გზის სამმართველოს ნება არ დაურთავს ქალაქის გამგეობისათვის დამბის გაკეთებისა, თანახმად გამგეობის და ტეხნიკურ კომისიის მიერ შემუშავებულ გეგმისა. გეგმის შეცვლა, თანახმად რკინის გზის სამმართველოს მითითებისა, იწვევს დამატებით ხარჯს 130000 მ. საფინანსო საბიუჯეტო კომისიას განუხილავს ეს და საჭიროდ უცვნია გადიდებულ იქნას ამისათვის დამატებითი ხარჯი 130000 მ. საბჭომ ერთხმად დაადგინა: მიეცეს დამატებითი კრედიტი ქალაქის გამგეობას კედლის დასამთავრებლად 130000 მანეთი.

**5. ტელეფონის შტატები და სარგებლობისთვის ფასის დაწესება.**

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ის. ხარატიშვილი, რომელმაც წარმოუდგინა საბჭოს მოსამსახურეთა შტატები.

საბჭო ერთხმად ამტკიცებს გამგეობის მიერ წარმოდგენილ ტელეფონის მოსამსახურეთა შტატებს.

ხმ. ალ. გრიგორაშვილი იწონებს ტელეფონების მოწყობას ჭიათურაში, და ნასიამოვნებია მითი, რომ ის დღესდღეობით სავსებით ასრულებს თავის დანიშნულებას. ტელეფონების სარგებლობისათვის 1920 წლ. პირველ იანვრამდე. თანახმად გამგეობის მიერ წარმოდგენილი ხარჯთ-აღრიცხვისა, მიღებულ და დამტკიცებულ იქნა შემდეგი გადასახადი:

ბინებზე თვეში—75 მ., სამრეწველო დაწესებულებებში—150 მ., ქარხნებში—250 მ., დამატებითი ტელეფონი—500 მ.

**6. ნიხრი ხორცზე:**

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ის. ხარატიშვილი.

რადგან ბაზარზე საკლავი საქონლის ფასი დღითი დღე მატულობს, ამიტომ საბჭო ამტკიცებს შემდეგ ნიხრს ხორცზე:

1. საქონლის ხორცი გირ.—7 მ., ღორისა და ცხვრის—8 მ., ქონი საქონლის—11 მ., ქონი ღორის—12 მ.

**7. ელექტრონის ენერგიაზე და წყალზე გადასახადის გადიდება.**

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ის. ხარატიშვილი.

რადგან სათბობი მასალა თანდათან ძვირდება, ამის გამო გამგეობა საჭიროდ სცნობს გადიდებულ იქნას ელექტრონის ენერგიაზე და წყალზე გადასახადი. საბჭო ამტკიცებს შემდეგ გადასახადს ელექტრონზე: ლამპა 50 სანთლამდის თვეში—30 მან., ლამპა 100 სანთლიანი 60 მანეთი. იქ, სადაც საზომი („სჩოტჩიკი“) იქნება დაწესებული იქნას შემდეგი გადასახადი: სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებებში: კილოვატი 6 მ. 50 კ., კერძო ბინებში 4 მ. 50 კ. წყალზე კერძო ბინებზე დარჩეს ისევ არსებული გადასახადი, ხოლო სავაჭრო დაწესებულებებზე დაწესდეს ვედროზე 7 კაპიკი.

**8. უფასო ტელეფონების დადგმა.**

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ის. ხარატიშვილი, რომელიც საბჭოს სთხოვს ნება მისცეს გამგეობას დაუდგას უფასო ტელეფონი ადგილობრივ სასამართლოს. საბჭო ადასტურებს უფასო ტელეფონის დადგმას ადგილობრივ მოსამართლის კანცელარიაში.

**9. ზესტაფონის ქალაქის გამგეობის თხოვნა დინამო მანქანის დათმობის შესახებ.**

მოხსენებას აკეთებს გამგეობის წევრი ის. ხარატიშვილი.

საბჭო მცირე კამათის შემდეგ ადგენს: მიეყიდოს ზესტაფონის ქალაქის გამგეობას პატარა დინამო მანქანა; ფასის განსაზღვრა მიენდოს ჭიათურის ქალაქის თვითმართველობის გამგეობას.

**10. ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეების კავშირის წესდების დამტკიცება.**

ქალაქის საბჭომ დაადგინა: მომავალ მორიგ კრებაზე ცნობისათვის განხილულ იქნას მოსამსახ. კავშირის წესდება.

საღამოს $10^{1}/_{2}$ საათზედ თავმჯდომარემ კრება დახურულად გამოაცხადა.

## მოძრავი კინემატოგრაფი.

აგვისტოს დამლევს ქალაქის ბირჟამ მოაწყო მოძრავი კინემატოგრაფი, რის მიზანიც იყო სახსრის გამოძებნა ბირჟასთან არსებულ უმუშევართა სახაიესთვის. სურათების საჩვენებლათ შეიძინეს ყველა საჭირო მოწყობილება შეძენილ იქნა აგრეთვე სურათები: „რევოლიუციონერი“ და „საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავი“. საქმის მოწყობა დაევალა შრომის ბირჟის გამგეს ნ. გიკს, რომელმაც 2 თვეში მოიარა სამტრედიის და ოზურგეთის რაიონები. სურათები უჩვენეს შემდეგ სოფლებში: ჯიქთუბანსა, ჯიხაიშსა, კულაშსა, ლანირსა, ჩხენიშსა, ჰაგანსა, ტობანიერსა, ვანსა, ყორმაგალასა, ჰყუშურსა, გომსასაჯიკახოსა, საჭაიასერსა, ჩოხატაურსა, ხიდისთავსა, ბახვსა, ცხემლის ხიდსა, შემოქმედსა და ხვარბეთში. ბილეთების ფასი იყო 3, 5, 8, 10 მან. და ძვილით 15 და 20 მან. სულ შემოვიდა 70,388 მან., აქედან % ების სახით სხვა და სხვა ორგანიზაციებს მიეცა სხვა და სხვა სოფლებში მოწყობილ სახალხო სახლების და საერობო სკოლების ფონდის გასაძლიერებლათ. ამ ხანში კინემატოგრაფი ინახულა 8, 291 კაცმა, ამაში 2, 923-მა ბავშმა. 2,000 სულმა კინემატოგრაფი უფასოთ ინახულა.

## ტფილისის თვითმართველობაში.

### 17 ნომბრის სხდომა

**გადასახლების ორგანიზაცია.**

ქალაქის მოურავი ბ. ჩხიკვიშვილი მოახსენებს საბჭოს, რომ თანახმად საბჭოს წინა სხდომაზე მიღებულ დადგენილებისა, მან შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, სასურსათო და საბინაო კრიზისების გამო, ქალაქიდან უსაქმურ ელემენტების გადასახლების შესახებ.

ორი დღის მუშაობის შემდეგ ქალაქის მოურავის მონაწილეობით შინაგან საქმეთა მინისტრმა გამოსცა ის სავალდებულო დადგენილებანი ასეთ ელემენტების გადასახლების შესახებ, რომელიც უკვე გამოქვეყნებულია. ამ ჟამად ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს თვით ამ გადასახლების ორგანიზაციას, რათა ბოროტმოქმედებას ადგილი არ ჰქონდეს გადასახლების დროს. გამგეობამ შეიმუშავა სახე იმ ორგანოებისა, რომელთაც უნდა მიენდოს ამ საქმის მოწყობა. ქალაქის თითოეულ უბანში უნდა დაარსდეს კოლეგია, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს, გადასასახლებელია ესა, თუ ის პირი, თუ არა. უნდა შეიქნეს 11 ასეთი ორგანო. თუმცა ქალაქში 13 უბანია, მაგრამ ორ მათგანს არა სჭირია ასეთი ცალკე ორგანო. მე 11 უბანი შეუერთდება მე 12, ხოლო მე-13—პირველ უბანს. ცნობები უნდა მიაწოდონ, როგორც სახლის პატრონებმა, ისე თვით მილიციამაც. საუბნო კოლეგიაში უნდა შედიოდნენ: საბჭოს ორი ხმოსანი და 1 მომრიგებელი მოსამართლე—გადამწყვეტი ხმით და კომისარი, ან მისი თანაშემწე სათათბირო ხმით.

ამას გარდა, უნდა შეიქნეს ქალაქის თვითმართველობასთან უმაღლესი ორგანო, რომელიც თვალყურს ადევნებს საუბნო კოლეგიების მოქმედებას და მასთანვე იქნება განსაჩივრებული საუბნო კოლეგიების გადაწყვეტილებანი, მისი თავმჯდომარეობის საშუალებით... ამ უმაღლეს ორგანოში შევა: გამგეობის ორი წევრი და სამი ხმოსანი.

ხმ. ვ. ბურჯანაძე (სოც. დემ.) საჭიროდ სცნობს, რომ საუბნო კომისიებში გადამწყვეტი ხმით დაშვებულ იქნენ პროფეს. კავშირების ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენლები და საუბნო კომისიის გადაწყვეტილების განსაჩივრების უფლება მიენიჭოს აგრეთვე კომისიის ყველა წევრს.

ხმ. პ. გოთუა (ერ.-დემ.) წინააღმდეგია პროფეს. კავშირების ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენლების გადამწყვეტი ხმით დაშვება საუბნო კომისიებში.

ხმ. არჩ. ჯაჯანაშვილი (ს.-ფედ.) იმის წინააღმდეგია, რომ საუბნო კომისიის გადაწყვეტილების განსაჩივრების უფლება მის ყოველ წევრს მიენიჭოს.

ხმ. ნ. ელიავა (სოც.-დემ.) წინადადებას იძლევა საბჭომ დაადგინოს, რომ საუბნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეიძლება მაშინ, თუ ხსენებულ კომისიის რომელიმე წევრი განსაკუთრებულ აზრისა იქნება.

ქალაქის მოურავს ბ. ჩხიკვიშვილს არაფერი აქვს წინააღმდეგი ნ. ელიავას წინადადებისა და იმისა, რომ საუბნო კომისიებში პროფეს. კავშირთა ცენტრ. საბჭოს წარმომადგენელნი იქნენ დაშვებულნი.

დასასრულ, საბჭო ერთხმათ ადგენს:

საუბნო კომისიების და უმაღლეს ორგანოს დაარსება საჭიროა; საუბნო კომისიაში შევიდენ გადამწყვეტი ხმის უფლებით მომრიგებელი მოსამართლე (რომელიც მომრიგებელ მოსამართლეთა ყრილობამ უნდა აირჩიოს მოკლე ხანში), 1 ხმოსანი და პროფეს. კავშირთა ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენელი (უკანასკნელს წინააღმდეგ ხმას აძლევენ ერ.-დემოკრატები); სათათბირო ხმით სახლის პატრონთა კავშირის წარმომადგენელი და კომისარი, ან მისი თანაშემწე.

საბჭომ ერთხმათვე დაადგინა, რომ საუბნო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება მაშინ შეიძლება, თუ კომისიის რომელიმე წევრი განსაკუთრებულ დასაბუთებულ წერილობით აზრს წარადგენს.

საუბნო კომისიებში თავმჯდომარეობას გასწევენ წევრი—ხმოსნები.

უმაღლეს ორგანოში კი თავმჯდომარეს თვით კოლეგია აირჩევს.

საუბნო კომისიებში საბჭოს წარმომადგენლებათ ირჩევენ შემდეგ ხმოსნებს: 1 უბანში—ზაქ. ჩიჩუას, მე-2—პარმენ კახიანი, მე-3—პართ. გოთუა, მე 4—ირემაშვილი, მე 5—დ. ჩადუნელი, მე-6—ირაკლი რამიშვილი, მე 7—ნ. წვერავა, მე 8—არჩ. ჯაჯანაშვილი, მე 9—ვ. ხახანაშვილი, მე-10—თ. კეკელიძე, მე-11—ერ. დიდიძე. უმაღლეს ორგანოში არჩეულ იქნენ ხმოსნები: მგელაძე, გუნცაძე და ალ. მდივანი. ეს დადგენილება მეორე დღიდანვე უნდა შევიდეს ძალაში.

## კოოპერატიული ცხოვრება

### კოოპერატივთა ცენტრში.

ქ. ქუთაისში დაარსდა დასავლეთ საქართველოს საკრედიტო და შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობათა კავშირი.

— ამიერ კავკასიის კოოპ. კავშირის რწმუნებულთა კრებამ, სხვათა შორის, დაადგინა კავშირის წესდების შეცვლა.

— კავშირმა პარიზიდან მიიღო ბ-ნ ჯინორიას მოხსენება ლონდონის და პარიზის კოოპ. საერთაშორისო კონფერენციების შესახებ.

ჯინორია, სხვათა შორის, ითხოვს გაიგზავნოს წარმომადგენლები მომავალ კონფერენციაზე, რომელიც მოხდება ჟენევაში ამა წლის დეკემბერში. ჯინორია სწერს, სხვათა შორის, რომ სომხეთის კავშირი მიუღიათ საერთაშორისო კავშირში, ჩვენთვის კი უარი უთქვამთ, რადგანაც იმ დროს ჩვენს შემთხვევით წარმომადგენელს ხელთ არ ჰქონია საჭირო დოკუმენტები.

— ინსტრუქტორების უკანასკნელ ყრილობაზე მოხდა შემდეგი დანაწილება ინსტრუქტორებისა რაიონებში:

ზუგდიდ-სამურზაყანოს—ჩიქოვანი, ბოლქვაძე. სენაკის და აბშის რაიონი—თოფურიძე ევტიხი ანტონის ძე.

ოზურგეთის რაიონი: ნატანების—საბაშვილი შუტუ, ლანჩხუთის—თოხაძე, ჩოხატაურის და საჯავახოს—ბერძენიშვილი.

ბათუმის ოლქი—კალანდაძე მარიამი.

ქუთაისის სამტრედიის რაიონი—ლორთქიფანიძე იოილ; წერეთელი კოწია, ლუტიძე, არველაძე. რაჭა ლეჩხუმის—ყიფიანი პ. შორაპანის—მიქაძე. ჭიათურის რაიონი—რუსიშვილი. გორის რაიონი—კორძახია. დუშეთის

რაიონი—მაისურაძე. სიღნაღის რაიონი—ბერძნიშვილი. კახეთის საოლქო კავშირი—კაპანაძე. თფილისის მაზრა—კარშელაშვილი. ბორჩალოს მაზრა (ლორის რაიონი), ახალქალაქის და ახალციხის მაზრა—კაზარიანცი.

— ცენტრალურმა კავშირმა შეიძინა ბიბლიოთეკა, რომელიც შესდგება ჯერ-ჯერობით დაახლოვებით 3—4 ათას წიგნისაგან.

— ამიერ-კავკასიის კოოპერატიულ ყრილობათა საბჭომ აირჩია გამგეობაში: პროფ. ავალიანი, არ. ს. როლკე, ი. ცაგარელი, ა. ვ. ლოსკუტოვი, და გ. გერ. კაფიევი, გამგეობის თავმჯდომარეთ არჩეულ იქნა ი. ცაგარელი.

— გამგეობამ მოიწვია მდივნათ მ. ნ. სმირნოვი. შესდგა მოკავშირეთა ბიურო, რომელსაც უნდა აერჩია დელეგაცია საერთაშორისო კოოპერატ. კონფერენციისათვის.

# უცხოეთი

(საქ. დეპ. სააგ.).

### იტალიური ცნობები.

იტალიის კომერციულმა ბანკმა 20 მილიონის კრედიტი გაუხსნა ჩეხის ბანკს ჩეხოსლოვაკიაში იტალიის საქონლის შესაზიდათ.

პორტუგალიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზავის ჩამოგდების წლის თავზე დეპეშა გაუგზავნა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრ, რომელშიაც გამოხატა პორტუგალიის ხალხის სიმპატია თვისი ლათინური დის მიმართ. ტიტონიმ სამადლობელი პასუხი გაუგზავნა.

რომში დაარსებული კომისია ემზადება ვენიზელოსი ღირსეულათ მიიღოს, ვენიზელოსს რომში მოკლე ხანში მოელიან.

საერთაშორისო ეკონომიური კონფერენცია შეიკრიბება რომში 21-22 ნოემბერს. გამარჯვების დღესასწაულის გამო რუმინიის სამხედრო მინისტრმა ბანკეტი გაუმართა ბუქარესტში იტალიის სამხედრო წარმომადგენლებს.

### ფრანგული პრესა.

მოლაპარაკების დასრულების შემდეგ, გერმანიის მთავრობას დაევალა გადასცეს 25 მილიონი ფრანკი ელზასის მცხოვრებლებს, რომელთაც ომის განმავლობაში გერმანიის მთავრობა ავიწროვებდა საფრანგეთისადმი თანაგრძნობისთვის.

იუწყებიან, რომ დ-ანუნციამ თვისი რაზმი ზარში წაიყვანა თვითონ კი ფიუმეში დაბრუნდა.

ავსტრიიდან მოსული დეპეშის ცნობით, რუმინელთა უკანასკნელმა ჯარის ნაწილმა ბუდაპეშტი 13 ნოემბერს ღამე დასტოვა.

გერმანიის რადიო ტელეგრაფი იუწყება, უნგრეთში ახალ კოალიციონურ მთავრობის შედგენის შესახებ. მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეთ იქნება ყოფილი იუსტიციის მინისტრი.

# მილიციაში.

სისხლ. სამ. მილიციამ 13 ნოემბერს დააპატიმრა: 1. ავაკ არუთინიანცი, რომელსაც ბრალი ედება ალექსანდრე აბრამოვიჩის გაძარცვაში 2. შალვა კობახიძე, რომელმაც სიმონ ბუაძეს ნივთები მოჰპარა, 3. ევგენია შირიგედინოვა, რომელსაც ბრალი ედება ქურდობაში. სამივე საგამომძიებლო ნაწილს გადაეცა.

სისხლ. სამ. მილიციამ 15 ნოემბერს დააპატიმრა და საგამოძიებლო ნაწილს გადასცა სასტუმრო „ნოე“-ს მოსამსახურენი გრიგოლ მახიარი და ვარლამ მამალაძე, რომლებსაც ბრალი ედებათ აღნიშნულ სასტუმროს №№ 85, 88 და 18,-დან ნივთების მოპარვაში. აღნიშნული №№ ივ. კაკაბაძეს და ბაგირ ზადერიზაევს უპირავს.

# სხვა და სხვა.

◆ ქართ. სამუსიკო სკოლაში სამუსიკო კოლეგიამ გამგეობის დადასტურებით ბ. ია კარგარეთელი მიიწვია სამუსიკო სკოლაში მასწავლებლად ქართულ თეორიის და სოლფეჯიოსათვის.

◆ საქართველოს რესპუბლიკის ომში დაჭრილ-დასახიჩრებულთა კავშირმა გახსნა ჩოთქების სახელოსნო, სადაც ომში დაჭრილ დასახიჩრებულნი ამზადებენ სხვა და სხვა გვარ ჩოთქებს (ფეხსაცმელების, იატაკის, ტანისამოსის და სხვა) შეიძლება შეკვეთის მიცემა.

◆ რედაქციამ მიიღო საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების მიერ გამოცემული აკაკის ისტორიული დრამა „პატარა კახი“. წიგნი პატარა ფორმატისაა, სუფთად არის გამოცემული და ღირს 12 მანეთი.

◆ საქართველოს და სომხეთის მთავრობის შეთანხმებით 20 ნოემბრიდან ტფილისა და ერევნის შუა იქნება პირდაპირი მიმოსვლა საფოსტო მატარებლების №№ 4/3 მგზავრებს მიეცემათ ორი ბილეთი ერთი საქართველოს რკინის გზისთვის მეორე სომხეთის.

— 18 ნოემბერს ბაქოდან ტფილისში ჩამოვიდა ადერბეიჯანის რესპუბლიკის გზათა მინისტრი მელიქ ასლანოვი.

◆ ტფილისის ქალაქის თვითმართველობის სასურსათო განყოფილება იძლევა ნავთს ამხ. „სვეტის“ ალპოსავ. კავკ.“ (ჩერქეზიშვილის ქ.) და მიხეილ ნაზაროვის (ნავთლუღში) საწყობებიდან 60 მ. ფუთს. (1 მ. 50 კ. გირ.) ორდერების მიღება შეიძლება სასურ. განყ. შტაბის და სასახლის ქ კუთხე.

◆ სასადილო „უნიონის“ ბინა რეკვიზიციის სახით გადაეცა იტალია-კავკასიურ ბანკს.

◆ სომეხთა საქველმოქმედო საზოგადოების არა ჩვეულებრივ კრებამ მიანდო თავმჯდომარეს ხოორიანს და წევრებს მანსარიანს და ლისიციანს, იშუამდგომლონ მთავრობის წინაშე, რათა სექვესტრისაგან გაანთავისუფლონ 5500 გირვანქა სტერლინგი, რომელიც ხს ნებულ საზოგადოებას ეკუთვნის და რომელსაც სექვესტრი დაედო საქართველო სომხეთის ომის დროს.

◆ ოც ნოემბერს ბაქოში შესდგება სომხეთის და ადერბეიჯანის წარმომადგენელთა კონფერენცია. სომხეთის მხრით დაესწრებიან სომხეთის დიპლომატიური წარმომადგენელი ბაქოში ბეგზადიანი და ორი სხვა.

◆ სომეხთა ეროვნული საბჭოს ბლომა რუსულმა კომიტეტმა დაადგინა 5 ათასი მანეთი მიეცეს დახმარების სახით კახეთის სომეხთა სკოლას.

## განცხადებანი

დაკარგულია სანიტარულ გადასახადის კვიტანცია № 7172, აღებული ნოემბრის 5-ს, სულ 8000 მანეთის ღირებულებისა, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 3—1

დარია ზარისის ასული ერთობაშვილი (იგივე მხარძელოვა) აცხადებს, რომ მან დაჰკარგა ნასყიდობის სიგელი, დამტკიცებული ტფილ. ოლქ. სასამ. უფროსი ნოტარიუსის მიერ 1914 წ. ნოემბრის 27-ს, რეესტრ 3459. 93 3—3

# ნუსხა

## პირველ ქართულ ლატარიის მოგებულ ბილეთებისა.

| სერ. №№ | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება | ბილეთის № მოგება |
|---|---|---|---|---|---|---|
| 328 | 322—100 | 363—100 | 267—100 | 256—100 | 484—100 | 308—100 |
| 329 | 190—100 | 464—100 | 433—100 | 43—100 | 302—250 | 472—100 |
| 330 | 457—250 | 443—100 | 266—100 | 151—100 | 319—100 | 132—100 |
| 331 | 295—100 | 436—100 | 51—100 | 309—250 | 251—100 | 350—100 |
| 332 | 171—100 | 382—100 | 494—100 | 450—250 | 497—100 | 435—100 |
| 333 | 176—100 | 203—100 | 151—100 | 176—10 000 | 429—100 | 56—100 |
| 334 | 285—100 | 284—100 | 45—100 | 296—100 | 57—100 | 187—100 |
| 335 | 77—100 | 20—100 | 332—100 | 128—100 | 263—100 | 366—100 |
| 336 | 331—100 | 169—100 | 269—100 | 39—100 | 385—100 | 339—100 |
| 337 | 461—100 | 349—100 | 418—100 | 76—100 | 207—10 | 482—100 |
| 338 | 37—100 | 113—500 | 214—100 | 255—100 | 464—500 | 311—250 |
| 339 | 223—100 | 24—250 | 333—100 | 327—100 | 361—100 | 232—100 |
| 340 | 472—100 | 425—250 | 360—250 | 403—1.000 | 454—100 | 455—100 |
| 341 | 124—100 | 115—100 | 327—100 | 426—100 | 129—100 | 160—500 |
| 342 | 466—100 | 3—100 | 99—100 | 203—100 | 425—100 | 154—250 |
| 343 | 100—100 | 87—100 | 426—100 | 169—100 | 192—100 | 498—100 |
| 344 | 465—100 | 196—100 | 487—100 | 184—100 | 418—100 | 16—100 |
| 345 | 491—100 | 405—100 | 411—100 | 159—100 | 50—100 | 443—100 |
| 346 | 200—100 | 488—100 | 330—100 | 84—250 | 78—100 | 488—100 |
| 347 | 420—100 | 267—100 | 236—100 | 249—100 | 331—100 | 451—100 |
| 348 | 307—100 | 311—100 | 38—100 | 142—100 | 332—100 | 216—100 |
| 349 | 8—100 | 344—100 | 248—250 | 338—100 | 459—100 | 200—100 |
| 350 | 434—100 | 406—100 | 368—100 | 382—100 | 195—100 | 231—100 |
| 351 | 231—100 | 230—100 | 182—250 | 383—100 | 322—100 | 228—100 |
| 352 | 84—100 | 160—100 | 430—100 | 423—100 | 66—100 | 114—100 |
| 353 | 262—100 | 384—100 | 101—500 | 415—100 | 444—100 | 468—100 |
| 354 | 237—250 | 455—100 | 444—100 | 161—100 | 389—100 | 197—100 |
| 355 | 7—100 | 12—100 | 37—100 | 289—100 | 112—100 | 47—100 |
| 356 | 43—100 | 458—100 | 377—100 | 249—100 | 491—100 | 264—100 |
| 357 | 493—100 | 130—100 | 296—100 | 85—100 | 243—100 | 222—100 |
| 358 | 435—100 | 60—100 | 218—100 | 40—100 | 396—100 | 17—100 |
| 359 | 344—100 | 219—100 | 307—100 | 171—100 | 154—100 | 467—100 |
| 360 | 147—100 | 74—100 | 358—100 | 393—100 | 270—100 | 320—100 |
| 361 | 369—100 | 26—100 | 178—100 | 409—100 | 370—100 | 345—100 |
| 362 | 429—100 | 452—100 | 173—100 | 473—100 | 46—100 | 92—100 |
| 363 | 182—100 | 273—100 | 210—100 | 388—100 | 364—100 | 418—100 |
| 364 | 120—100 | 76—100 | 192—100 | 98—100 | 148—100 | 419—100 |
| 365 | 61—500 | 265—100 | 110—100 | 74—100 | 406—100 | 384—250 |
| 366 | 258—100 | 133—100 | 197—250 | 407—100 | 169—100 | 231—100 |
| 367 | 495—250 | 144—100 | 83—100 | 131—100 | 435—100 | 370—100 |
| 368 | 222—250 | 354—100 | 472—100 | 112—100 | 491—100 | 487—100 |
| 369 | 239—100 | 46—100 | 158—100 | 90—100 | 423—100 | 9—100 |
| 370 | 242—100 | 67—100 | 181—100 | 179—100 | 304—100 | 166—100 |
| 371 | 165—500 | 404—100 | 448—100 | 273—100 | 121—100 | 35—100 |
| 372 | 246—100 | 109—100 | 2 3—100 | 331—250 | 188—100 | 335—100 |
| 373 | 193—100 | 31—100 | 49—100 | 210—100 | 52—100 | 479—100 |
| 374 | 296—100 | 44—100 | 406—100 | 372—100 | 231—100 | 278—100 |
| 375 | 122—100 | 188—100 | 436—100 | 117—100 | 467—100 | 153—100 |
| 376 | 170—100 | 389—100 | 313—100 | 352—100 | 20—100 | 228—100 |
| 377 | 336—100 | 141—100 | 71—100 | 311—100 | 211—100 | 21—100 |
| 378 | 125—100 | 218—100 | 385—100 | 87—100 | 172—100 | 328—100 |
| 379 | 218—250 | 183—250 | 31—100 | 157—100 | 68—100 | 463—100 |
| 380 | 72—100 | 163—100 | 434—100 | 79—100 | 182—100 | 55—100 |
| 381 | 398—100 | 184—100 | 417—100 | 174—100 | 300—100 | 485—100 |
| 382 | 166—100 | 353—100 | 226—100 | 320—100 | 291—100 | 348—100 |
| 383 | 227—100 | 188—100 | 182—100 | 150—100 | 281—100 | 72—100 |
| 384 | 366—100 | 340—100 | 446—100 | 354—100 | 182—100 | 376—100 |
| 385 | 361—100 | 446—100 | 479—100 | 212—100 | 155—100 | 235—100 |
| 386 | 132—100 | 231—100 | 356—100 | 250—100 | 372—100 | 432—100 |
| 387 | 411—100 | 127—100 | 107—100 | 155—100 | 253—100 | 28—100 |
| 388 | 427—100 | 415—100 | 172—100 | 211—100 | 370—250 | 162—100 |
| 389 | 105—100 | 85—100 | 28—100 | 457—100 | 165—100 | 368—100 |
| 390 | 159—100 | 34—100 | 351—100 | 419—100 | 41—100 | 88—250 |
| 391 | 431—100 | 234—500 | 449—100 | 355—100 | 245—100 | 49—100 |
| 392 | 123—100 | 306—100 | 253—100 | 283—250 | 80—100 | 113—500 |
| 393 | 279—100 | 75—100 | 464—100 | 262—100 | 129—100 | 50—100 |
| 394 | 337—500 | 388—100 | 329—100 | 490—250 | 309—100 | 277—500 |
| 395 | 69—100 | 35—100 | 450—100 | 385—100 | 210—100 | 262—100 |
| 396 | 269—100 | 164—500 | 161—100 | 163—250 | 83—100 | 290—100 |
| 397 | 185—100 | 471—100 | 238—100 | 218—100 | 311—100 | 210—250 |
| 398 | 52—500 | 39—100 | 419—100 | 334—100 | 45—100 | 248—250 |
| 399 | 139—100 | 229—100 | 170—100 | 27—100 | 258—100 | 93—100 |
| 400 | 496—100 | 334—100 | 165—100 | 15—100 | 95—100 | 159—100 |

დასასრული.

ივანე ტატოს ძე მგლაძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი № 6150, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 143 3—1

ალექსანდრე ალექსის ძე შახნაროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი, აღებული ბორჯომის კომისარიატიდან, რომელიც გაუქმებულად ჩაითვალოს. 141 3—1

სიმონ სიმონის ძე არეშკინი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული სოფ. მანგლისის სოფლის სამმართველოდან და ტყვეობიდან განთავისუფლების მოწმობა. საბუთები გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 151 3—1

დავით მიხეილის ძე ფირალიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი აღებული ტფილისის ყოფილ პოლიცმეისტრის კანცელარიიდან. პასპორტი გაუქმებულათ ჩაითვალოს. 152 3—1

გიორგი გურგენ ოღლი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა მეტრიკული მოწმობა მიღებული ტფილისის სინოდის კანტორიდან და პასპორტი მიღებული ტფილისის მდაბიო მოქალაქეთა სამმართველოდან. საბუთები გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 150 3—1

კონსტანტინე გიორგის ძე ლვამიჩავა აცხადებს, რომ დაჰკარგა უვადო პასპორტი მიღებული ტფილისის პოლიცმეისტრის კანცელარიიდან № 6666. პასპორტი გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 153 3—1

მარკოზა სიმონის ძე ჯულელძე აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი და მეტრიკული მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 139 3 1

დაკარგულია პასპორტი № 485 აღებული 20 I 1919 წ. ეკატერინენფელდის სასოფლო სამმართველოდან ალექსანდრე სტეფანის ძე მარტიროსიანცის მიერ, რომელიც გაუქმებულათ ჩაითვალოს. 140 3—1

დაეკარგა ორი მოწმობა მიღებული ტფილისის თავად-აზნაურთა სავაჟო გიმნაზიიდან და 6 მოწაფეობისთვის № 7224 და 8909 მპოვნელს ვთხოვ დამიბრუნოს და შესაფერი გასამრჯელოც მიიღოს ბათუმი მიხაილოვის ქუჩა საწყობი „კავშირთა კავშირი“ 148 3—1

დაკარგულია ვადიანი თანხის კვიტანცია № 25721 (24) ს. აღებული საერთაშორისო კომერციული ბანკიდან მუსტაფა ზაქარია ოღლი კულიევის მიერ 1916 წ. 20 სექტემბერს, რომელიც გაუქმებულად უნდა ჩაითვალოს. 120 3—1

დაკარგულია, ქუთაისის რეალურ სასწავლებლის კანცელარიიდან აღებული გიორგი დავითის ძე ლეშკაშელის მიერ ატესტატი და შვიდი კლასის გათავების მოწმობა, რომელიც გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 137 3—1

პელაგია თეოდოსეს ასული ჯავახიშვილი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული ქ. ფოთის ქალაქის გამგეობიდან № 1919 წ. პასპორტი გაუქმებულათ ითვლება. 147 3 1

პარასკევს, 1919 წ. ნოემბრის 21 დღის 12 საათზე ქ. თვითმართველობის საიჯარო განყოფილების მიერ დანიშნულია საჯარო ვაჭრობა ქალაქის „ბუდკის“ იჯარით გაცემაზე (ალექსანდროვის ბაღის ქვემო ნაწ.) პირობების გაგება შეიძლება თვითმართველობის საიჯარო განყოფილების კანცელარიაში, ყოველ დღე 2-3 საათ., გარდა უქმეებისა. 134 3—1

კონსტანტინე ალექსანდრეს ძე დანდუროვი აცხადებს, რომ მან დაჰკარგა პასპორტი მიღებული სოფ. ახალქალაქის ერობის გამგეობიდან და სამხედრო ბეგრიდან განთავისუფლების მოწმობა მიღებული მე 5 ქართული ათასეულის კანცელარიიდან. საბუთები გაუქმებულათ უნდა ჩაითვალოს. 138 3—1

შინაგან საქმეთა სამინისტროდან გაცემული არონ სვიმონის ძე თავდიდიშვილის სახელზე საზღვარ-გარეთის პასპორტი № 1567 დაკარგულია, ჩაითვალოს გაუქმებულათ. 149 3—1